სახელმწიფო კომპანიების საკადრო და სახელფასო პოლიტიკის გამოწვევები

თბილისი,2021

Supported by
Luminate
Building stronger societies

IDFI
ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

კვლევა მომზადდა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ, გლობალური საქველმოქმედო ორგანიზაცია Luminate-ის ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია IDFI და ბლოგპოსტში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს Luminate-ის პოზიციას

შინაარსი

ძირითადი მიგნებები....4
შესავალი....5
სახელმწიფო საწარმოებში დასაქმებულთა სტატისტიკა....7
სახელმწიფო საწარმოების შრომის ანაზღაურების ხარჯები....8
დასკვნა....16

ძირითადი მიგნებები

- სახელმწიფო კომპანიებში არსებული ფინანსური პრობლემების მიუხედავად, საწარმოთა ყველა დარგის მიხედვით, შენარჩუნებულია თანამშრომელთა დასაქმების მზარდი ტენდენცია. კერძოდ, 2019 წელს წინა წელთან შედარებით თანამშრომელთა რიცხოვნობა გაზრდილია დაახლოებით 2%-ით (+575 თანამშრომელი).

- 2019 წელს 14 სახელმწიფო კომპანიის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი შეადგენს 428 მილიონ ლარს, რაც 9%-ით აღემატება 2018 წლის მაჩვენებელს (392 მილიონი).

- შესწავლილ სახელმწიფო საწარმოებში 2019 წელს, წინა წელთან შედარებით შრომის ანაზღაურების ხარჯები გაზრდილია 4%-დან 32% მდე.

- სახელმწიფო კომპანიების სახელფასო ხარჯების ზრდის ტენდენცია, უმეტესწილად შენარჩუნებულია კომპანიების არასახარბიელო ფინანსური შედეგების ფონზე. მაგალითად, სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციაში ხელფასის ხარჯი გაიზარდა 15%-ით მაშინ როდესაც წლიური მოგება 40 მილიონით შემცირდა. შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაში შრომის ანაზღაურების ხარჯები 2019 წელს გაზრდილია 8%-ით, მაშინ როდესაც კომპანიის ზარალი 85 მილიონს შეადგენდა.

- სახელმწიფო ბიუჯეტიდან სუბსიდიის მიმღები ცალკეული კომპანიები თანამშრომლებზე გასცემენ ბონუსებს. მაგალითად, შპს საქართველოს მელიორაციამ 2018-2019 წლებში ბონუსის სახით გასცა 2,8 მილიონი ლარი (2019 – 1,3 მილიონი, 2018 – 1,5 მილიონი), შპს ბლექ სი არენა ჯორჯიამ 1,1 მილიონი ლარი (2019 – 315 ათასი, 2018 – 759 ათასი).

- 11 სახელმწიფო კომპანიის მენეჯმენტის ანაზღაურებამ 2019 წელს 9,5 მილიონი ლარი შეადგინა, რაც დაახლოებით 15%-ით აღემატება 2018 წლის მაჩვენებელს (8,3 მილიონი).

- ცალკეული სახელმწიფო კომპანიების ხელძღვანელის მიერ შევსებული ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციებში არ არის ასახული მათ მიერ მიღებული შრომის ანაზღაურების შესახებ ინფორმაცია.

შესავალი

სახელმწიფო საწარმოების ეფექტიანი მართვა ქვეყნის ეკონომიკისათვის კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. წლების განმავლობაში სახელმწიფო კომპანიების მართვის არაეფექტიანი და გაუმჭვირვალე პოლიტიკა, მნიშვნელოვნად აისახა მათ ფინანსურ შედეგებზე. მაგალითად, 2019 წელს სახელმწიფო საწარმოთა ზარალმა შეადგინა 237 მილიონი ლარი, 2018 წელს 816 მილიონი ლარი.

სახელმწიფო საწარმოების გაუმჭვირვალე და არა ანგარიშვალდებული საქმიანობა, საზოგადოებას არ აძლევს საშუალებას სრულყოფილად შეაფასოს და გაანალიზოს აღნიშნულ სფეროში არსებული პრობლემები. მიუხედავად იმისა რომ, აღნიშნული კომპანიები ხშირ შემთხვევაში ასრულებენ საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს და განკარგავენ საჯარო ფინანსებს, მაინც თავს არიდებენ საჯარო ინფორმაციის გაცემას.

სახელმწიფო საწარმოების ფინანსური შედეგები და არსებული გამოწვევები მიმოხილულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადებულ, 2021 სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური რისკების ანალიზის დოკუმენტში. სამინისტროს მიერ მომზადებული ანალიზი ეყრდნობა 352 სახელმწიფო საწარმოს (173-ადგილობრივი ხელისუფლების საკუთრებაში 179 - ცენტრალური ხელისუფლების საკუთრებაში) მონაცემებს. ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტის მიხედვით, მიუხედავად იმისა რომ, სახელმწიფო საწარმოების ზარალი 2019 წელს, წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირდა, კვლავ არ არის ოპტიმიზმის საფუძველი და აუცილებელია სახელმწიფო საწარმოთა რეფორმის განხორციელება. ბოლო წლებში სახელმწიფო საწარმოებში წარმოქმნილი დიდი ოდენობით ზარალი, აქტივების გაუფასურებასთან ერთად, ასევე განპირობებულია კვაზი ფისკალური აქტივობებით, რომელიც ემსახურება სოციალურ და პოლიტიკურ მიზნებს და რომელსაც მოგებაზე ორიენტირებული საწარმო არ განახორციელებდა. მაგალითად, შპს ენგურჰესი უსასყიდლოდ აწვდის ელექტროენერგიას ოკუპირებულ აფხაზეთს, სს საქართველოს რკინიგზა ასუბსიდირებს მგზავრთა გადაყვანას, სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია ახდენს საყოფაცხოვრებო გაზის ტარიფის სუბსიდირებას და ა.შ. ცხადი კვაზი-ფისკალური აქტივობების იდენტიფიცირება და გამოქვეყნება ფინანსთა სამინისტრომ 2017 წლიდან დაიწყო, რომელიც მხოლოდ 6 კომპანიაშია იდენტიფიცირებული.

მოგება-ზარალის ანგარიშგება

მლნ ლარებში

ნაერთი (მარაბდა-კარწახის რკინიგზის ჩათვლით)	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
შემოსავალი	**1,745**	**1,900**	**2,316**	**2,555**	**2,954**	**2,958**	**3,242**
საოპერაციო შემოსავალი	1,639	1,802	2,196	2,339	2,605	2,636	2,943
არასაოპერაციო შემოსავალი	106	97	120	216	349	322	299
ხარჯი	**1,726**	**1,983**	**3,104**	**3,089**	**3,683**	**3,771**	**3,477**
საოპერაციო ხარჯი	1,482	1,739	2,085	2,358	3,154	3,264	2,828
ცვეთა/ამორტიზაცია	154	177	182	291	314	317	278
არასაოპერაციო ხარჯი	243	244	1,019	731	529	507	650
მ.შ.საპროცენტო ხარჯი	68	82	138	221	208	171	171
მ.შ. კურსთაშორის სხვაობით მიღ. ზარალი	0	0	423	465	227	272	436
სხვა დანარჩენი არასაოპერაციო ხარჯი	176	162	459	45	95	64	43
მოგება დაბეგვრამდე	**19**	**-83**	**-788**	**-533**	**-729**	**-813**	**-235**
მოგების გადასახადი	63	17	-1	1	3	3	2
წმინდა მოგება	**-44**	**-100**	**-786**	**-535**	**-732**	**-816**	**-237**

მოგება-ზარალის ანგარიშგება

მლნ ლარებში

ნაერთი (მარაბდა-კარწახის რკინიგზის გარეშე)	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
შემოსავალი	**1,745**	**1,891**	**2,316**	**2,513**	**2,776**	**2,824**	**3,170**
საოპერაციო შემოსავალი	1,639	1,802	2,196	2,339	2,605	2,636	2,943
არასაოპერაციო შემოსავალი	105	88	120	173	171	188	227
ხარჯი	**1,674**	**1,886**	**2,771**	**2,841**	**3,518**	**3,534**	**3,223**
საოპერაციო ხარჯი	1,471	1,726	2,069	2,340	3,134	3,244	2,806
ცვეთა/ამორტიზაცია	154	177	182	289	313	315	277
არასაოპერაციო ხარჯი	203	160	702	500	384	290	417
მ.შ.საპროცენტო ხარჯი	65	77	131	213	200	160	162
მ.შ. კურსთაშორის სხვაობით მიღ. ზარალი	0	0	423	243	90	70	212
სხვა დანარჩენი არასაოპერაციო ხარჯი	138	83	148	45	95	60	43
მოგება დაბეგვრამდე	**71**	**5**	**-455**	**-328**	**-742**	**-710**	**-53**
მოგების გადასახადი	63	17	-1	5	3	3	2
წმინდა მოგება	**8**	**-12**	**-454**	**-333**	**-746**	**-713**	**-55**

წყარო: ფინანსთა სამინისტრო, ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტი

სახელმწიფო საწარმოების არსებული ფინანსური შედეგების, ერთ-ერთ მნიშვნელოვან განმაპირობებელ ფაქტორად შესაძლებელია ასევე განხილულ იქნას ფარული კვაზი ფისკალური აქტივობები, რომელიც ეხება სახელმწიფო საწარმოებში კომერციულ მიზნებთან შეუსაბამო დასაქმების და სახელფასო პოლიტიკას. სახელმწიფო საწარმოების გაუმჭვირვალე საქმიანობის ფონზე, კომერციულ მიზნებთან შეუსაბამო დასაქმების და სახელფასო პოლიტიკას თითოეული საწარმოს ფინანსურ შედეგზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია. სამწუხაროდ, ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტში, ამ მიმართულებით კომპანიების მიხედვით დეტალური ანალიზი არ არის წარმოდგენილი. თუმცა, ამავე დოკუმენტში და საჯაროდ

ხელმისაწვდომი სხვადასხვა მონაცემების ანალიზი გვაძლევს გარკვეული წარმოდგენების შექმნის შესაძლებლობას.

სახელმწიფო საწარმოებში დასაქმებულთა სტატისტიკა

ფინანსთა სამინისტროს მონაცემების მიხედვით, **2019 წლის მდგომარეობით სახელმწიფო საწარმოებში დასაქმებული იყო 37 142 პირი.** სახელმწიფო საწარმოებში დასაქმებული თანამშრომლების დაახლოებით 95%, მოდის 10 სახელმწიფო საწარმოზე. მათ შორის ყველაზე მეტი - 12 476 პირი დასაქმებულია სს საქართველოს რკინიგზაში. დასაქმებულ თანამშრომელთა რიცხოვნობით ასევე გამოირჩევიან - შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანია - 6,302 პირი, შპს - თბილსერვის ჯგუფი - 4,983 პირი, შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია- 2,724 პირი, შპს საქართველოს ფოსტა- 2,495 პირი.

ბოლო წლებში სახელმწიფო კომპანიებში არსებული ფინანსური პრობლემების მიუხედავად, საწარმოთა ყველა დარგის მიხედვით, შენარჩუნებულია თანამშრომელთა დასაქმების მზარდი ტენდენცია. კერძოდ, 2019 წელს თანამშრომელთა რიცხოვნობა წინა წელთან შედარებით გაზრდილია დაახლოებით 2%-ით (+575 თანამშრომელი).



სახელმწიფო კომპანიები, სადაც დასაქმებულია ყველაზე მეტი თანამშრომელი	
სახელმწიფო საწარმო	დასაქმებულთა რაოდენობა
სს საქართველოს რკინიგზა	12,476
შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანია	6,302
შპს თბილსერვის ჯგუფი	4,983
შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია	2,724
შპს საქართველოს ფოსტა	2,495
სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა	1,527
შპს საქართველოს მელიორაცია	1,432
შპს რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი	1,176
შპს სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა	1,161
შპს ენგურჰესი	996

წყარო: ფინანსთა სამინისტრო, ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტი

სახელმწიფო საწარმოების შრომის ანაზღაურების ხარჯები

სახელმწიფო საწარმოებში არსებულ საკადრო პოლიტიკასთან ერთად, მნიშვნელოვანი გამოწვევაა გაუმჭვირვალე სახელფასო პოლიტიკა, რაც წარმოშობს სახელმწიფო კომპანიის ფინანსების არამიზნობრივი განკარგვის რისკებს. ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტში ხაზგასმითაა აღნიშნული რომ, საწარმოებში არ არსებობს გამჭვირვალე სახელფასო პოლიტიკა, რაც ქმნის დიდ სივრცეს არაეფექტურობისათვის. ამასთან, დოკუმენტის მიხედვით სახელმწიფო საწარმოთა სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციებში სამართლებრივად განსაზღვრულია დირექტორის დანიშვნა/განთავისუფლება, ხელფასის და სხვა პირობების განსაზღვრა, რაც მაღალი ალბათობით ატარებს ფორმალურ ხასიათს.

სახელმწიფო საწარმოების შრომის ანაზღაურების პოლიტიკის ნაკლოვანებებზე, ასევე საუბარია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ეფექტიანობის აუდიტის 2015 წლის ანგარიშში, სადაც აღნიშნულია რომ სახელმწიფო საწარმოებისთვის შრომის ანაზღაურების და წახალისების სისტემა არ არის დანერგილი, რაც წარმოშობს არაადეკვატური ოდენობის შრომის ანაზღაურების რისკებს.

სახელმწიფო კომპანიებისათვის, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საჯარო ინფორმაციის გაცემაზე არსებული შეზღუდული ვალდებულები მნიშვნელოვნად ართულებს მსგავს კომპანიებში არსებული სახელფასო პოლიტიკის დეტალურ ანალიზს. ამ მხრივ, მონიტორინგის განხორციელების გარკვეულ საშუალებას იძლევა, საქვეუწყებო დაწესებულება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ შექმნილი ანგარიშგების პორტალი (reportal.ge), სადაც განთავსებულია საქართველოში არსებული სუბიექტების, მათ შორის სახელმწიფო კომპანიების ფინანსური და მმართველობითი ანგარიშები. ასევე, საჯარო სამსახურის ბიუროს ვებგვერდზე განთავსებული სახელმწიფო საწარმოების

ხელმძღვანელების ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციები, სადაც ასახულია მათ მიერ სამუშაოს შესრულებით მიღებული შემოსავლები[1].

კვლევის ფარგლები, IDFI-მ შეისწავლა ყველაზე მაღალი ბრუნვის მქონე სახელმწიფო კომპანიების მიერ ანგარიშგების პორტალზე განთავსებული 2019 წლის ფინანსური ანგარიშები, რომლის ფარგლებში წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვები მოიცავს დასაქმებული პერსონალის 2019 და 2018 წლების შრომის ანაზღაურების ხარჯების ჯამურ მაჩვენებლებს. აღნიშნული მაჩვენებლები ხშირ შემთხვევაში აერთიანებს თანამშრომელთა ხელფასებს, პრემიებს, დანამატებს, თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევას, საპენსიო ფონდის ხარჯებს და პერსონალის სხვა სარგებელს.

შესწავლილი 14 სახელმწიფო კომპანიის, ფინანსური ანგარიშების[2] მიხედვით, 2019 წელს მათ მიერ თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი შეადგენს 428 მილიონ ლარს, რაც 9%-ით აღემატება 2018 წლის მაჩვენებელს (392 მილიონი). შესწავლილ სახელმწიფო საწარმოებში 2019 წელს, წინა წელთან შედარებით შრომის ანაზღაურების ხარჯები გაზრდილია 4%-დან 32% მდე. 2019 წელს პროცენტულად ყველაზე მეტი მატება (+32%) შპს საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიაშია, სადაც შრომის ანაზღაურების ხარჯები 10,7 მილიონიდან 14,1 მილიონამდე გაიზარდა.

შპს ბათუმის საზღვაო ნავსადგურის (სახელმწიფოს 100-პროცენტიანი წილის ექსკლუზიური მართვის უფლება გადაცემული აქვს ყაზახეთში რეგისტრირებული საწარმო სს „ყაზტრანსოილი“ მფლობელობაში მყოფ კომპანიას „ბათუმის ნავთობტერმინალს“) მიერ გაყიდული საქონლის თვითღირებულების მაჩვენებლების მიხედვით 2019 წელს თანამშრომელთა ანაზღაურება შეადგენდა 12,7 მილიონ ლარს რაც 5%-ით ნაკლებია 2018 წლის მაჩვენებელზე (13,4 მილიონი). თუმცა, უშუალოდ ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში თანამშრომელთა ანაზღაურება 2019 წელს შეადგენდა 4,1 მილიონ ლარს, რაც 5%-ით აღემატება 2018 წლის მაჩვენებელს (3,9 მილიონი).

სახელმწიფო კომპანიების სახელფასო ხარჯების ზრდის ტენდენცია, უმეტესწილად შენარჩუნებულია კომპანიების არასახარბიელო ფინანსური შედეგების ფონზე. მაგალითად, სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციაში ხელფასის ხარჯი გაიზარდა 15%-ით მაშინ როდესაც წლიური მოგება 40 მილიონით შემცირდა. შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაში შრომის ანაზღაურების ხარჯები 2019 წელს გაზრდილია 8%-ით, მაშინ როდესაც კომპანიის ზარალი 85 მილიონს შეადგენდა.

ცალკეული კომპანიების ფინანსურ ანგარიშებში, ვხვდებით სახელფასო ფონდის ზრდასთან დაკავშირებულ განმარტებებს. მაგალითად, სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის სახელფასო ხარჯის 15%-იანი მატების განმაპირობებელ ფაქტორად მითითებულია შვილობილი კომპანიის შპს გარდაბნის თბოსადგური 2 ის და შპს საქართველოს გაზსაცავის

[1] 2013 წელს საერთაშორისო ინიციატივა „ღია მმართველობის პარტნიორობის“ ფარგლებში IDFI-ის და სამოქალაქო საზოგადოების სხვა ორგანიზაციების მიერ წარდგენილი რეკომენდაციების შესაბამისად, საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ საქართველოს კანონში“ შეტანილი ცვლილებების შედეგად გაიზარდა იმ პირთა წრე, ვისაც ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების წარდგენა ევალებათ. მათ შორის თანამდებობის პირთა ნუსხას დაემატნენ იმ საწარმოთა ხელმძღვანელები, რომლის აქციათა ან წილის 100 პროცენტს ფლობს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, აგრეთვე ამ საწარმოს შვილობილი საწარმოს ხელმძღვანელი;

[2] იმ სახელმწიფო კომპანიების შემთხვევაში, რომლებსაც გააჩნიათ შვილობილი კომპანიები მონაცემები აღებულია კონსოლიდირებული ანგარიშებიდან.

თანამშრომლების რაოდენობის ზრდა, ასევე კორპორაციის დროებითი თანამშრომლების სახელფასო ხარჯის ზრდა.

სახელმწიფო კომპანიების ფინანსურ ანგარიშებში წარმოდგენილი ცალკეული მაჩვენებლები და განმარტებები ცხადჰყოფს რომ, სახელმწიფო კომპანიებში ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების გარდა, გაიცემა პრემიები და სახელფასო დანამატები. მაგალითად, შპს საქაერო ნავიგაციის ფინანსურ ანგარიშში ვხვდებით პერსონალის ანაზღაურების ჩაშლილ მონაცემებს, რომლის მიხედვით 2019 წელს თანამშრომლებზე გაცემულია 3,6 მილიონი პრემია და 3,3 მილიონი დანამატი. კომპანიის შიდა პოლიტიკის მიხედვით, თანამშრომლებს ყოველთვიურად ერიცხებათ დანამატი, რომელთა ოდენობა დამოკიდებულია წელთა ნამსახურებაზე.

სს საქართველოს რკინიგზის ფინანსური ანგარიშის მიხედვით, კომპანიას გააჩნია საპრემიო სისტემა, რომელიც ეფუძნება დასაქმებულის საქმიანობის შეფასებას. ანგარიშის მიხედვით, 2017 წლამდე პრემია მხოლოდ წამყვან თანამშრომლებში ნაწილდებოდა კვარტალურად, ხოლო 2017 წლიდან ბონუსებით არა მხოლოდ წამყვანი, არამედ ყველა დასაქმებული ჯილდოვდება წლიურად.

დიდი ბრუნვის მქონე სახელმწიფო კომპანიების სახელფასო ხარჯები							
	ბრუნვა 2019 (მლნ)	მოგება 2019 (მლნ)	მოგება 2018 (მლნ)	შვილობილი კომპანია	ხელფასები 2019	ხელფასები 2018	ხელფასის მატება
სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია	719	121	161	4	23,004,000	20,076,000	+15%
სს ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი	568	1	0	-	2,834,022	2,694,128	+5%
სს საქართველოს რკინიგზა	435	-6	-717	8	160,561,000	154,338,000	+4%
სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა	196	30	47	2	31,089,000	27,565,000	+13%
შპს საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია	144	20	16	-	14,129,000	10,693,000	+32%
შპს საქართველოს ფოსტა	87	3	0	2	26,548,000	24,921,000	+7%
შპს საქაერონავიგაცია	76	3	17	-	39,897,000	33,945,000	+18%
შპს თბილსერვის ჯგუფი	76	-15	-71	-	56,561,253	51,447,815	+10%
შპს საქართველოს აეროპორტების გაერთიანება	62	2	0	-	7,541,000	6,518,000	+16%
შპს ენგურჰესი	61	-5	21	1	13,146,000	10,484,000	+25%

შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია	48	-85	-40	-	25,313,000	23,392,000	+8%
შპს ბათუმის საზღვაო ნავსადგური	43	1	6	-	12,670,561	13,382,364	-5%
სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსენერგო	39	14	15	-	10,803,000	10,156,000	+6%
შპს ბათუმის აეროპორტი	30	21	21	-	3,468,000	2,826,000	+23%

შენიშვნა: შპს ენგურჰესის და შპს ბათუმის საზღვაო ნავსადგურის მონაცემები, წარმოადგენს გაყიდული საქონლის თვითღირებულებაში თანამშრომელთა ანაზღაურების მაჩვენებლებს

წყარო1: ანგარიშგების პორტალზე reportal.ge განთავსებული ფინანსური ანგარიშები
წყარო2 : ფინანსთა სამინისტრო ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტი

სახელმწიფო ბიუჯეტიდან სუბსიდიის მიმღები კომპანიების ფინანსური ანგარიშების მიხედვით, მსგავს ცალკეულ კომპანიებშიც თანამშრომლებზე გაიცემა თანხები ბონუსების სახით. მაგალითად, შპს საქართველოს მელიორაციამ 2018-2019 წლებში ბონუსის სახით გასცა 2,8 მილიონი ლარი (2019 – 1,3 მილიონი, 2018 – 1,5 მილიონი), შპს ბლექ სი არენა ჯორჯიამ 1,1 მილიონი ლარი (2019 – 315 ათასი, 2018 – 759 ათასი).

ასევე ხშირ შემთხვევაში, სუბსიდიის მიმღები კომპანიების შემთხვევაშიც შენარჩუნებულია ხელფასების ზრდის მზარდი ტენდენცია. მაგალითად, შპს საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის სახელფასო ხარჯი 2019 წელს გაიზარდა 12%-ით, შპს სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის 8%-ით.

სახელმწიფო სუბსიდიის მიმღები სხვადასხვა სახელმწიფო კომპანიის სახელფასო ხარჯები						
	სუბსიდია2019 (მლნ)	მოგება 2019 (მლნ)	მოგება 2018 (მლნ)	ხელფასები 2019	ხელფასები 2018	ხელფასის მატება
შპს საქართველოს მელიორაცია	18	-31	-39	16,227,137	15,908,014	+2%
				მ.შ. ბონუსი 1,267,727	მ.შ. ბონუსი 1,514,505	
შპს საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია	12	7	-8	4,330,122	3,857,195	+12%
შპს ბლექ სი არენა ჯორჯია	10	-2	-4	2,536,000	2,871,000	-13%
				მ.შ. ბონუსი 315 00	მ.შ. ბონუსი 759 00	
შპს სახელმწიფო სამშენებლო კომპანია	9	10	-7	1,315,061	1,212,474	+8%

წყარო1: ანგარიშგების პორტალზე reportal.ge განთავსებული ფინანსური ანგარიშები
წყარო2 : ფინანსთა სამინისტრო ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტი

სახელმწიფო კომპანიების ფინანსური ანგარიშები ხშირ შემთხვევაში მოიცავს კომპანიის მენეჯმენტის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაციას. მსგავსი ინფორმაცია, ასახული იყო IDFI-ს მიერ შესწავლილი 11 კომპანიის ანგარიშში. ამ მონაცემების ანალიზით, ირკვევა რომ 11 სახელმწიფო კომპანიის მენეჯმენტის ანაზღაურებამ 2019 წელს 9,5 მილიონი ლარი შეადგინა, რაც დაახლოებით 15%-ით აღემატება 2018 წლის მაჩვენებელს (8,3 მილიონი). სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში არ არის მითითებული მენეჯმენტში შემავალ პირთა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია, რაც ართულებს საშუალო წლიური ანაზღაურების დაანგარიშებას. იმ კომპანიების შემთხვევაში სადაც ვხდებით მენეჯმენტის რაოდენობის დაკონკრეტებას, მაჩვენებლები შემდეგნაირად გამოიყურება.

მაგალითად, შპს ბათუმის საზღვაო ნავსადგურის (სახელმწიფოს 100-პროცენტიანი წილის ექსკლუზიური მართვის უფლება გადაცემული აქვს ყაზახეთში რეგისტრირებული საწარმო სს „ყაზტრანსოილი“ მფლობელობაში მყოფ კომპანიას „ბათუმის ნავთობტერმინალს“) ხელმძღვანელობის ზედა რგოლი შედგებოდა 5 პირისგან, რომელთა ანაზღაურებამ 2019 წელს შეადგინა სულ 2,2 მილიონი ლარი (საშუალოდ 1 პირზე 440 ათასი ლარი). აღნიშნული თანხა მოიცავდა ხელფასს, პრემიას და დაბინავების ხარჯს.

სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსენერგოს (კომპანიის მფლობელია საქართველოს სახელმწიფო 50%, რუსეთის ფედერაცია 50%) მენეჯმენტის ანაზღაურებამ 2019 წელს შეადგინა 1,68 მილიონი ლარი. ანგარიშის მიხედვით ეს თანხა გაიცა ხელმძღვანელსა და მის მოადგილეებზე. საქრუსენერგოს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის მიხედვით, კომპანიის ხელმძღვანელს ყავს 4 მოადგილე, შესაბამისად ეს თანხა გადანაწილდა 5 პირზე, რაც თითოეულზე საშუალოდ შეადგენს 336 ათას ლარს.

შპს საქართველოს ფოსტის ფინანსური ანგარიშის მიხედვით, 2019 წელს მენეჯმენტზე გაცემული 1,171,000 ლარი გადანაწილდა 12 პირზე (დირექტორი, სამი მოადგილე, 8 დეპარტამენტი უფროსი). შესაბამისად თითოეული ხელმძღვანელის საშუალო ანაზღაურება შეადგენს 98 ათას ლარს.

შესწავლილი კომპანიებიდან, ყველაზე მცირე თანხა მითითებულია შპს საქართველოს აეროპორტების გაერთიანების მენეჯმენტზე - 107 ათასი ლარი, რომელიც გაცემულია მხოლოდ დირექტორზე.

სახელმწიფო კომპანიების მენეჯმენტის შრომის ანაზღაურების ხარჯები		
	ხელფასები 2019	ხელფასები 2018
შპს ბათუმის საზღვაო ნავსადგური	2,203,962	1,767,550
სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსენერგო	1,680,000	1,333,000
შპს საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია	1,223,000	721,000
შპს საქართველოს ფოსტა	1,171,000	1,059,000
სს საქართველოს რკინიგზა	908,000	981,000

სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია	860,000	697,000
შპს ბათუმის აეროპორტი	488,000	559,000
შპს ენგურჰესი	390,000	409,000
შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია	262,000	273,000
სს ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი	255,043	361,600
შპს საქართველოს აეროპორტების გაერთიანება	107,000	109,000

სახელმწიფო კომპანიების ხელმძღვანელებზე, ინდივიდუალურად გაცემული შრომის ანაზღაურების გარკვევის მიზნით IDFI-მ ასევე შეისწავლა ბოლო 3 წელში ხელმძღვანელი პირების მიერ შევსებული ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციები. მონიტორინგის პროცესში, IDFI-ს მიერ იდენტიფიცირებულ იქნა შემთხვევები როდესაც კონკრეტული კომპანიის ხელძღვანელის მიერ არ ხდება კონკრეტულ პოზიციაზე მიღებული შრომის ანაზღაურების შესახებ ინფორმაციის ასახვა.

მაგალითად, სს-საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის მართველთა საბჭოს თავმჯდომარის სულხან ზუმბურიძის მიერ 2019 შევსებულ დეკლარაციაში, არ არის ასახული 2018 წელს მიღებული შრომის ანაზღაურების შესახებ ინფორმაცია. აღნიშნული პოზიცია გამორჩეულია ანაზღაურების მოცულობით. მაგალითად, 2017 წელს იმავე სულხან ზუმბურიძის შრომის ანაზღაურებამ შეადგინა, 341,700 ლარი.

ასევე, შპს „ბლექს სი არენა ჯორჯიას“ დირექტორის ტარიელ ხარჩილავას მიერ, 2020 წელს და 2019 წელს შევსებულ დეკლარაციებში, არ არის მითითებული მის მიერ მიღებული შრომის ანაზღაურების შესახებ ინფორმაცია;

15.02.2021 01:40 declaration.gov.ge გვერდი 9

საქართველოში ან სხვა ქვეყანაში, თქვენი, თქვენი ოჯახის წევრის მიერ შესრულებული ნებისმიერი ანაზღაურებადი სამუშაო, სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობის გარდა

სამუშაოს შემსრულებელი პირის ვინაობა (სახელი, გვარი)	სამსახური, რომელშიც პირს უკავია თანამდებობა ან ასრულებს სამუშაოს, ასევე რომელშიც წინა წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ეკავა თანამდებობა ან ასრულებდა სამუშაოს	თანამდებობის დასახელება ან სამუშაოს შინაარსი	საწყისი თარიღი	საბოლოო თარიღი	სამუშაოს შესრულებით წინა წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით მიღებული შემოსავალი

სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის მმართველთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის მიერ შევსებულ დეკლარაცია, სადაც არ არის მითითება სამუშაოს შესრულებით მიღებული შემოსავლები;

საქართველოში ან სხვა ქვეყანაში, თქვენი, თქვენი ოჯახის წევრის მიერ შესრულებული ნებისმიერი ანაზღაურებადი სამუშაო, სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობის გარდა					
სამუშაოს შემსრულებელი პირის ვინაობა (სახელი, გვარი)	სამსახური, რომელშიც პირს უკავია თანამდებობა ან ასრულებს სამუშაოს, ასევე რომელშიც წინა წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ეკავა თანამდებობა ან ასრულებდა სამუშაოს	თანამდებობის დასახელება ან სამუშაოს შინაარსი	საწყისი თარიღი	საბოლოო თარიღი	სამუშაოს შესრულებით წინა წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით მიღებული შემოსავალი (ხელზე აღებული თანხა)

შპს „ბლექს სი არენა ჯორჯიას“ დირექტორის ტარიელ ხარჩილავას მიერ შევსებულ დეკლარაცია, სადაც არ არის მითითება სამუშაოს შესრულებით მიღებული შემოსავლები;

დეკლარაციებიდან შეგროვებული მონაცემების ანალიზი, ასევე გარკვეულ კითხვებს აჩენს შრომის ანაზღაურების შესახებ ინფორმაციის დადგენილი ინსტრუქციის შესაბამისი სიზუსტით ასახვასთან დაკავშირებით. კერძოდ, 2020 წლიდან (ცალკეული შემთხვევებში ასევე, 2019 წლიდან), თანამდებობის პირების მიერ მიღებულ შრომის ანაზღაურების გრაფაში მითითებულია, რომ თანამდებობის პირის მიერ ასახულია წინა წელს, ხელზე მიღებული (net) შემოსავალი, ნაცვლად დარიცხული (gross) თანხისა. შესაბამისად, 2019 წლის დეკლარირებული შემოსავლები, (უცვლელი ანაზღაურების პირობებში) წინა წლების ანაზღაურების ოდენობას, უნდა ჩამორჩებოდეს, კანონმდებლობით დადგენილი საგადასახადო განაკვეთის ოდენობით. მთელი რიგი, სახელმწიფო კომპანიების ხელმძღვანელების შემთხვევაში 2019 წლის დეკლარირებული (net) შემოსავლები, აღემატება ან/და იგივე ნიშნულზეა, წინა წლებში (Gross) დეკლარირებული შემოსავლებთან. მაგალითად, საქართველოს ფოსტის ხელმძღვანელის ლევან ჩიკვაიძის დეკლარირებული შემოსავალი 2019 წელს შპს საქართველოს ფოსტის, შპს საქართველოს ლატარიის კომპანიის და შპს ექსპრესის ხელმძღვანელის პოზიციებზე შეადგენდა 168,595 ლარს, 2018 წელს, იმავე პოზიციებზე 157,988.8 ლარს, ხოლო 2017 წელს 159,725.6 ლარს. შესაბამისად, თუ დავუშვებთ რომ 2019 წლის შემოსავლებში ასახულია ხელზე დარიცხული თანხა (net), ხოლო წინა წლებში დარიცხული თანხა (gross) მაშინ ანაზღაურება წინა წელთან შედარებით გაზრდილია დაახლოებით 60 ათასი ლარით.

შპს საქაერო ნავიგაციის ხელმძღვანელს გოჩა მეზვრიშვილის 2019 წლის დეკლარირებული შემოსავალი შეადგენს 153,074 ლარს, ხოლო 2018-2017 წლებში დეკლარირებულია თანაბარი თანხა - 103 200 ლარი. თუ გავითვალისწინებთ, რომ 2019 წლის შემოსავალში ასახული უნდა იყოს, ხელზე ასაღები თანხა, მაშინ გოჩა მეზვრიშვილის ანაზღაურება დაახლოებით გაორმაგდა 2018-2017 წლებთან შედარებით.

შპს ენგურჰესის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეს 2019, 2018, 2017 წლის შრომის ანაზღაურება დეკლარირებულია დაახლოებით ერთი და იგივე თანხა - 99 ათასი ლარის ოდენობით. სხვადასხვა წელს, დეკლარაციის განსხვავებული კალკულაციით შევსების პირობებში, შემოსავლების მსგავსი თანხვედრა, აჩენს კითხვებს მათ სიზუსტესთან დაკავშირებით.

სიზუსტესთან დაკავშირებით არსებული კითხვების მიუხედავად, დეკლარაციებში ასახული მონაცემები აჩვენებს, რომ სახელმწიფო კომპანიების ხელმძღვანელი პირები გამოირჩევიან მაღალი შრომის ანაზღაურებით. ამასთან აღსანიშნავია, რომ მსგავს ანაზღაურებას კომპანიის ხელმძღვანელები ხშირ შემთხვევაში იღებენ, მათი მართველობის ქვეშ მყოფი სახელმწიფო კომპანიების არასახარბიელო ფინანსური შედეგების ფონზე.

მაგალითად, 2019-2017 წლებში საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელი დირექტორს წლიური ანაზღაურება საშუალოდ შეადგენდა დაახლოებით 300 000 ათას ლარს. სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის ხელმძღვანელმა 2017 წელს ანაზღაურების სახით მიიღო 341 700 ლარი, მაშინ როდესაც კომპანიის ზარალი შეადგენდა 320 მილიონ ლარს. სს საქართველოს რკინიგზის ხელმძღვანელის ანაზღაურებამ 2018 წელს შეადგინა 226 725 ლარი, მაშინ როდესაც კომპანიის ზარალი შეადგენდა 717 მილიონ ლარს.

სახელმწიფო კომპანიების ხელმძღვანელების მიერ დეკლარირებული სამუშაოს შესრულებით მიღებული შემოსავლები							
სახელმწიფო კომპანია	თანამდებობა	სახელი, გვარი	2019 (net)	სახელი გვარი	2018 (gross/net)	სახელი გვარი	2017 (gross)
შპს-ბათუმის აეროპორტი*	დირექტორი	მუსტაფა ილთან ოქთემი	**287,357.3**	მუსტაფა ილთან ოქთემი	**319,500.47** (net)	მუსტაფა ილთან ოქთემი	**322,164.9**
სს-საპარტნიორო ფონდი	აღმასრულებელი დირექტორი	დავით საგანელიძე	**237,231.3**	დავით საგანელიძე	**294,000.0**	დავით საგანელიძე	**336,000.0**
სს-საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა	მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე/ რეაბილიტაციის მმართველი	უჩა უჩანეიშვილი	**212,520.4**	სულხან ზუმბურიძე	**X**	სულხან ზუმბურიძე	**341,700.0**
სს-საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია	გენერალური დირექტორი	გიორგი* ბახტაძე	**215,616.0**	დავით თვალაბეიშვილი	**209,346.0**	დავით თვალაბეიშვილი	**175,000.0**
სს-საქართველოს რკინიგზა	გენერალური დირექტორი	დავით* ფერაძე	**216,479.1**	დავით* ფერაძე	**226,725.7**	მამუკა ბახტაძე	**X**
						დავით* ფერაძე (1 თვე)	**15 696.3**
სს-საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი	დირექტორი	გიორგი ჩიქოვანი	**190,953.9**	თორნიკე რიჟვაძე (6 თვე)	55,177.2	მამუკა კობახიძე	**166 988.1**
				გიორგი ჩიქოვანი (3 თვე)	37,383,.5		
შპს-საქართველოს ფოსტა	ხელმძღვანელი	ლევან* ჩიკვაიძე	**168,595.6**	ლევან* ჩიკვაიძე	**157,988.8**	ლევან* ჩიკვაიძე	**159,725.6**
შპს საქაერონავიგაცია	გენერალური დირექტორი	გოჩა მეზვრიშვილი	**153,074.1**	გოჩა მეზვრიშვილი	**103,200.0**	გოჩა მეზვრიშვილი	**103,200.0**
სს-ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი	გენერალური დირექტორი	X	**X**	ვახტანგ ამბოკაძე	**131,200.0**	ვახტანგ ამბოკაძე	**132,840.0**
შპს-საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია	გენერალური დირექტორი	ჯაბა ხმალაძე (9თვე)	**88,509.0**	ჯაბა ხმალაძე	**104,000.0**	ირაკლი ბენდელიანი (10 თვე)	**88,571.0**
		მიხეილ შალამბერიძე	**30,501.2**				

შპს-ენგურჰესი	დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე	ლევან მებონია*	**99,152.0**	ლევან მებონია	**99,130.0**	ლევან მებონია	**99 157.0**
შპს მთის კურორტების განვითარების კომპანია	დირექტორი	X	**X**	ალექსანდრე ონოფრიშვილი	**77,314.3** (net)	ალექსანდრე ონოფრიშვილი	**100220.0**
შპს საქართველოს აეროპორტების გაერთიანება	დირექტორი	X	**X**	ქეთევან ალექსიძე	**80,371.0**	ქეთევან ალექსიძე	**72,700.0**
შპს სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა	დირექტორი	ალექსი ზანდარაშვილი	**60, 000.0**	ალექსი ზანდარაშვილი	**60,000.0** (net)	ალექსი ზანდარაშვილი	**75 000.0**
შპს-თბილისის სატრანსპორტო კომპანია	გენერალური დირექტორი	გიორგი შარკოვი	**60725.67**	მამუკა კობახიძე	**84,250.0**	X	**X**
შპს ეკოსერვის ჯგუფი	დირექტორი	ვახტანგ ნოზაძე	**51013,8**	ვახტანგ ნოზაძე	**43,240.0** (net)	X	**X**

შენიშვნა * შპს „ბათუმის აეროპორტი“ სამართავად გადაცემული აქვს თურქულ კომპანია „ტავ ბათუმ ოფერეიშენს“

- შრომის ანაზღაურება მიღებულია, სხვადასხვა სახელმწიფო კომპანიაში დაკავებული პოზიციის მიხედვით

დასკვნა

აღნიშნული მონაცემები, აჩვენებს რომ სახელმწიფო კომპანიების ხელმძღვანელი პირები, მიუხედავად კომპანიის ფინანსური შედეგებისა, გამოირჩევიან მაღალი შრომის ანაზღაურებით. ამასთან, IDFI მიიჩნევს რომ, ფინანსურ ანგარიშებში ასახული შრომის ანაზღაურების ჯამური მონაცემები და ხელმძღვანელი პირების დეკლარირებულ შემოსავლები, სრულფასოვნად ვერ აფასებს სახელმწიფო კომპანიებში სახელფასო პოლიტიკასთან დაკავშირებით არსებული გამოწვევების მასშტაბებს და მის უარყოფით გავლენას კომპანიის ფინანსურ შედეგებზე. ამასთან, სახელმწიფო კომპანიების გაუმჭვირვალე საქმიანობა, მნიშვნელოვნად ზრდის არარაციონალურ საკადრო და სახელფასო პოლიტიკის რისკებს.

IDFI მიესალმება, სახელმწიფო საწარმოებში რეფორმის განხორციელებასთან დაკავშირებით გადადგმულ ნაბიჯებს და იმედს გამოთქვამს, რომ მიმდინარე რეფორმის ფარგლებში უახლოეს მომავალში განხორციელდება შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების გამჭვირვალობას, დასაქმების და ანაზღაურების პოლიტიკის დარეგულირებას და ანგარიშვალდებულების სტანდარტების დადგენას.